

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის საჯარო ინფორმირებისთვის
გამოყენების სამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკა

მურმან გორგოშაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: murman.gorgoshadze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-7794-3179>

ლევან ჯაყელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: l.jakeli@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0133-0733>

აბსტრაქტი. ენა ადამიანის თვითმყოფადობისა და კულტურული იდენტობის უმთავრესი ფორმაა და სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია. სახელმწიფო ენა სამართლებრივი დაცვის ქვეშ მყოფი სოციალური სიკეთეა, რომლის გამოყენება და განვითარება სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

ნაშრომი ეძღვნება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, საჯარო ინფორმირების სფეროში გამოყენების სამართლებრივ რეგულირებას, პრაქტიკასა და შესაბამის რეკომენდაციებს. გაანალიზებულია ქართული ენის ფუნქციური არეალის შემცირების ტენდენციები და ენის დეგრადაციის საფრთხეები, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილ წერით მეტყველებაში.

კვლევაში განხილულია საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებებზე, სასათაურო წარწერებზე, პლაკატებზე, აბრებზე, აფიშებზე, რეკლამებსა და სხვა ვიზუალური ინფორმაციის მატარებელ ტექსტებზე ქართული ენის გამოყენების სამართლებრივი რეგულაციები. გაანალიზებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების დარღვევის პრაქტიკა.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მიუხედავად მოქმედი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმებისა, სახელმწიფო ენის გამოყენების სფეროში კვლავ ფიქსირდება რეგულაციების დარღვევები, რაც განპირობებულია სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონით, ნორმატიული ბაზის გარკვეული ბუნდოვანებითა და სანქციონების არასაკმარისი ეფექტიანობით. ნაშრომში შემუშავებულია რეკომენდაციები სამართლებრივი რეგულაციების დახვეწისა და სახელმწიფო ენის დაცვისა და პოპულარიზაციის გაძლიერების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს სახელმწიფო ენა; საჯარო ინფორმირება; საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერები; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

შესავალი. მეცნიერები აქტიურად საუბრობენ, ენის სხვადასხვა საფროთხეებზე (არაბული, 2013: 258; გიგაშვილი, 2010: 157-158; გორგოშაძე, 2018; ჯაველიძე, 2022: 14-17; ასათიანი, 2025). ენის სიკვდილის ერთ-ერთ სიმპტომად მისი რეალიზაციის შემცირებული სფეროები სახელდება (გიგაშვილი, 2011: 79-80). სამწუხაროდ, ქართული ენის ფუნქციური არე იზღუდება, როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ენა, როგორც საქართველოს ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკურ-სამართლებრივი მემკვიდრეობისა და ყოფის გამომხატველი ფენომენი განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს, რაც ვლინდება „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებით (2015 წ.) (საქართველოს, 2015), საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნით (2017 წ.) (საჯარო სამართლის, 2017), 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) შემუშავებით (სახელმწიფო, 2021) და სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვა ღონისძიებებით, რომელთა მიზანია: სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცება; მისი გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა; სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება¹⁵; საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა; ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა-დამკვიდრება და სხვა (საქართველოს, 2015: მ.1, პ.1).

ენის გამოყენების ერთ დიდ სფეროს წერითი მეტყველება წარმოადგენს, წერით მეტყველებაში კი საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებებს, სასათაურო წარწერებს, პლაკატებს, აბრებს, აფიშებს, რეკლამებს და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ამ სფეროს სამართლებრივ რეგულაციებს, პრაქტიკაში მათი დარღვევის არაერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წინამდებარე სტატია საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებებზე, სასათაურო წარწერებზე, პლაკატებზე, აბრებზე, აფიშებზე, რეკლამებზე და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტებზე ქართულ ენაზე წერითი მეტყველებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევების შესწავლა-ანალიზს და ზოგიერთი რეკომენდაციის შემუშავებას ეხება.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვების, წყაროების ანალიზის, სისტემური ანალიზის, საფუძველ-შედგენის კავშირის, ანალოგიის მეთოდები.

საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ წარწერებზე შემჩნეული ძირითადი დარღვევები

საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადებების, სასათაურო წარწერების, პლაკატების, აბრების, აფიშების, რეკლამების და სხვა ვიზუალური ინფორმაციისთვის განკუთვნილი ტექსტების დიდ ნაწილზე უხეშად ირღვევა:

- ა) 2015 წლის 22 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის „სახელმწიფო ენის შესახებ“, 24-ე მუხლი, 25-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6 პუნქტები;
- ბ) 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“, მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-2¹, მე-3, მე-4 პუნქტები, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი;
- გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144¹⁰-ე მუხლი;

დ) 2004 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“, 51¹-ე მუხლი.

მივყვეთ მუხლობრივად და ვაჩვენოთ რომელი მუხლით რაა გათვალისწინებული და პრაქტიკაში რა ტიპის დარღვევებთან გვაქვს საქმე.

საქართველოს ორგანული კანონის „სახელმწიფო ენის შესახებ“ 24-ე მუხლი ადგენს: **„საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზედაც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე“**. როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მიხედვით საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე ანუ ქართულ ენაზე უნდა სრულდებოდეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, იგივე ინფორმაცია, შესაძლებელია მიეთითოს არასახელმწიფო ენაზეც.

კანონის ეს მოთხოვნა უმრავლეს შემთხვევაში არ სრულდება (პროგრამული ანგარიში, 2017), საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი არაერთი განცხადება, შეტყობინება, სასათაურო წარწერა, პლაკატი, აბრა, აფიშა, რეკლამა და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი, მხოლოდ უცხო ენაზეა შესრულებული და არაა გამოყენებული სახელმწიფო ენა, რითაც, ბუნებრივია, იზღუდება ქართული ენის გამოყენების სივრცე. საქართველოს „სახელმწიფო ენის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლში საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ ტექსტების ჩამონათვალში პირდაპირ არაა მითითებული სატრანსპორტო საშუალებები, როგორც ჩანს აღნიშნული საშუალებები ამ მუხლის „და სხვაშია“ ნაგულისხმევი. იქედან გამომდინარე, რომ სატრანსპორტო საშუალებების საჯარო ინფორმირებისთვის გამოყენება მატულობს, მიზანშეწონილია აღნიშნული მუხლის ჩამონათვალს დაემატოს სიტყვები „მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებზე“ და იგი ჩამოყალიბდეს ასე: **„საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებზე, ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება...“**

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ მოითხოვს, რომ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულება სავალდებულოა (საქართველოს, 2015: მ.25, პ.1). ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტის შემდგენის ინტერესებში შედის, რომ ტექსტი სახელმწიფო ენის გარდა სხვა ენაზეც იქნას მითითებული, კანონს შემოაქვს ასეთი რეგულაცია: „საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი არასახელმწიფო ენაზეც წარმოდგენა“. კანონი არ აზუსტებს იმას, თუ რას გულისხმობს „საჭიროების შემთხვევა“, ასეთი შემთხვევების განსაზღვრას კანონმდებელი საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილი ტექსტის შემქმნელს ანდობს ანუ არ ზღუდავს მას იმის განსაზღვრაში თუ რას ჩათვლის იგი „საჭიროების შემთხვევად“ (შედარებისთვის: საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის არასახელმწიფო ენაზე განთავსებას სომხეთის რესპუბლიკის კანონი „ენის შესახებ“ უშვებს აუცილებლობის შემთხვევაში (Law, 1993: მ.4, პ.3), ხოლო აზერბაიჯანის კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში“, უცხოელების მომსახურებასთან დაკავშირებულ სფეროებში (Закон, 2002: მ.7, პ.1). იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ ჩაითვალა საჯარო ინფორმირებისთვის ტექსტის არასახელმწიფო ენაზეც განთავსება და თუ ეს ეხება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ოფიციალურ სახელწოდებას, „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედ-

ვით, დაცული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები: თუ სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი და არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება ერთმანეთის გვერდიგვერდ, მაშინ წინ, ანუ მარცხნივ თავსდება სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი, ხოლო შემდეგ, მარჯვნივ, არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი; იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი და არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება ზემოთ და ქვემოთ, მაშინ ზევით თავსდება სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი, ხოლო ქვევით არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი (საქართველოს, 2015: მ.25, პ.3). ოფიციალური სახელწოდებისაგან განსხვავებულ შემთხვევებშიც სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის წინ (მარცხნივ ან ზევით) თავსდება (საქართველოს, 2015: მ.25, პ.5).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში, ქართულთან ერთად, აფხაზური ენაც სახელმწიფო ენაა აფხაზეთში, ოფიციალური სახელწოდების ქართულ, აფხაზურ და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას ქართული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), აფხაზური ტექსტი – ცენტრში, ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით) (საქართველოს, 2015: მ.25, პ.4). აღნიშნული რეგულაციები ირღვევა სხვადასხვაგვარად: ა) ზევით და ქვევით ან მარცხნივ და მარჯვნივ უცხო ენოვანი წარწერაა, შუაში ქართულენოვანი, თანაც ზოგჯერ ქართულად სხვა რამ წერია, უცხოურად სხვა; ბ) ფირმის ან ობიექტის დასახელება არასახელმწიფო ენაზეა მოცემული, სხვა ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე; გ) ზევით სახელმწიფო ენის ნაცვლად განთავსებულია წარწერა არასახელმწიფო ენაზე; დ) წინ, ანუ მარცხნივ არასახელმწიფო ენოვანი წარწერაა, ხოლო შემდეგ, მარჯვნივ სახელმწიფო ენოვანი და სხვა (პროგრამული ანგარიში, 2017).

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერის არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის, ეროვნული უმცირესობის ენაზე) წარმოდგენის წესი სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ჯერ არ შეუმუშავებია და არ დაუმტკიცებია, რასაც ითვალისწინებს „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (საქართველოს, 2015: მ.25, პ.2), კარგი იქნებოდა „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2¹ პუნქტს დამატებოდა „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული დანაწესები. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2¹ პუნქტი მიიღებს შემდეგ სახეს: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას და სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის წინ (მარცხნივ ან ზევით) უნდა განთავსდეს ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით). ქართულ, აფხაზურ და არასახელმწიფო ენებზე ტექსტის გადმოცემისას ქართული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), აფხაზური ტექსტი – ცენტრში, ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არასახელმწიფო ენას უწოდებს სახელმწიფო ენის გარდა, ნებისმიერ ენას, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მცხოვრები სხვა პირები პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ სარგებლობენ (საქართველოს, მ.3, ქვეპუნქტი ბ), მაშინ ძალიან მრავალდება ისეთი უცხოენოვანი წარწერები, რომელთა შემქმნელებს საქართველოში სხვადასხვა (მათ შორის რელიგიური, იდეური თუ პოლიტიკური) ინტერესები ამოძრავებთ, ენა კი, მოგეხსენებათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია, რბილად რომ ვთქვათ, ამ პაექრობაში. ამის დასტურად ირანის მაგალითიც შეიძლება მოვიტანოთ, სადაც არაბული ენა რელიგიური ურთიერთობის ენიდან თანდათანობით იქცა მნიშვნელობით მეორე საურთიერთობო ენად (რამიშვილი, 2014: 145). ყოველივე ამის გამო, მიზანშეწონი-

ლად მიგვაჩნია სიტყვა „არასახელმწიფოს“ შეცვლა სიტყვით „საერთაშორისო“ და მოცემული ნორმის შემდეგნაირად ჩამოყალიბება: „**საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, მეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს საერთაშორისო ენაზედაც ...**“

საქართველოს ორგანული კანონით „სახელმწიფო ენის შესახებ“ განსაზღვრულია, რომ არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტექსტთან ერთად გამოყენებისას არასახელმწიფოენოვანი ტექსტის შრიფტი სახელმწიფოენოვანი ტექსტის შრიფტზე დიდი არ უნდა იყოს (საქართველოს, 2015: მ.25, პ.6). კანონის ეს მოთხოვნაც ირღვევა ხშირ შემთხვევებში (პროგრამული ანგარიში, 2017).

საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ მიხედვით არასახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა არათუ ზომით, რაოდენობითაც არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას, „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას“ (საქართველოს, 1998: მ.4, პ.3). ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევებიც ხშირად შეინიშნება პროგრამული ანგარიში, 2017).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში არასახელმწიფო ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) განთავსება. საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, სასაქონლო ნიშანს უწოდებს ნებისმიერ სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც შეტანილია სასაქონლო ნიშნების რეესტრში, ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ და აქვს უნარი, ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება მეორე საწარმოს საქონლისგან ან/და მომსახურებისგან (შემდგომ – საქონელი) განასხვავოს. სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა შეიძლება იყოს სიტყვა (სიტყვები), სახელი (სახელები), ასო (ასოები), ციფრი (ციფრები), ბგერა (ბგერები), გამოსახულება, ფერი (ფერები), საქონლის ან მისი შეფუთვის ფორმა (საქართველოს, 1999: მ.3, პ.1-2). აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, რომლის მიხედვით: „საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“ (საქართველოს, 1998: მ.4, პ.2). მაშასადამე, ქართული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სასაქონლო ნიშნები (სიმბოლოები) გადმოიცეს ქართულ ენაზე და ისე განთავსდეს, რასაც ჩვენთან განთავსებული ბრენდები ხშირად არ აკეთებენ (პროგრამული ანგარიში, 2017). საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ გაერთიანებებთან, მეწარმეებთან, დაწესებულებებთან მიმართებაში კარგი იქნებოდა ერთი ესტონური გამოცდილების გაზიარება: კერძოდ, იქაური „ენის კანონის“ მიხედვით ესტონეთში რეგისტრირებულ კომერციულ გაერთიანებებს, მეწარმეებს, დაწესებულებებს ევალებათ თავიანთ უცხოენოვან ვებ-გვერდებზე აუცილებლად განათავსონ თუნდაც მცირე, განმაზოგადებელი ინფორმაცია ესტონურ ენაზეც (Language, 2011: მ. 16, პ. 4). მსგავსი ჩანაწერის გაჩენა „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ხელს შეუწყობს ქართული წერითი მეტყველების მიერ უფრო მეტი სივრცის ათვისებას და შესაბამისად, გადარჩენისთვის წარმატებულ ბრძოლას.

აღნიშნული დარღვევების გამო, ქართულ წერით მეტყველებაში, ქართული ენის ფუნქციური არე უკიდურესად იზღუდება ინგლისური, რუსული, თურქული, არაბული და სხვა ენებით. ენის რეალიზაციის სფეროების შემცირება კი, როგორც აღვნიშნეთ, მიჩნეულია ენის სიკვდილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმპტომად. ეს კი მიგვანიშნებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული ენა, კრიტიკულად საფრთხეში მყოფი თუ არა, ამ საფრთხის მუქარის ქვეშ მყოფ ენას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ შემჩნეული დარღვევების უმრავლესობა შესაბამისი სამართლებრივი

ნორმების უცოდინრობიდან მომდინარეობს ანუ საქმე გვაქვს აღნიშნული მიმართულებით სამართლებრივი ცნობიერების დაბალ დონესთან, რომლის ამაღლების მიზნით საჭიროა: ა) სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით მეტი სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის აღნიშნულ საკითხზე; ბ) რეკლამის მწარმოებელთა (სარეკლამო კომპანიების) და გამავრცელებელთა მომზადება-გადამზადება სხვადასხვა სახის ტრეინინგების საშუალებით.

პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის დარღვევისთვის

მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-11 თავი, რომელიც ორი მუხლისაგან (38-ე, 39-ე) შედგება, მთლიანად ეძღვნება სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას, მასში არაა განსაზღვრული კანონით დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის კონკრეტული პასუხისმგებლობა. კანონი შემოიფარგლება მხოლოდ ასეთი ზოგადი მითითებით – ამ კანონის დარღვევისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს, 2015: მ.38) და პერსონალურ პასუხისმგებლობას მათდამი დაქვემდებარებულ სფეროში სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის აკისრებს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს (საქართველოს, 2015: მ.39, პ.1). „სახელმწიფო ენის შესახებ“ ორგანული კანონის დამრღვევების მიმართ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ფუნქციაც მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოიფარგლება, კერძოდ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება გვაუწყებს, რომ „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დეპარტამენტი შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მიმართავს დამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების მოთხოვნით (საჯარო სამართლის, 2017: მ.3, ქვეპუნქტი კ). სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ძალისხმევით მიუხედავად, მისი საქმიანობის ეფექტურობა კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. სამწუხაროდ, მისი საქმიანობა ლოკალიზებული და შეზღუდულია (Gegenava, Partsvania, Tusashvili, 2024: 63). როგორც ვხედავთ ორგანული კანონიც „სახელმწიფო ენის შესახებ“ და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულებაც იმდენად ზოგადი მითითებებით შემოიფარგლება. კარგი იქნება თუ დამრღვევთა მიმართ კონკრეტული სანქციები უშუალოდ კანონის ტექსტში იქნება მითითებული, მით უფრო, რომ სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტი ამას ითვალისწინებდა (მანაგაძე, 2014) და მსოფლიო გამოცდილებაც იცნობს ამგვარ პრაქტიკას (Language, 2011: მ. 36). თუ კანონმდებელი ახალი რეგულაციების დადგენისგან თავს იკავებს, მაშინ მიზანშეწონილია ბლანკეტური დისპოზიციის გზით მაინც მიუთითოს შესაბამის ნორმებზე, ან უცვლელად იქნას გადმოტანილი შესაბამისი ნორმები.

სამწუხაროდ, არც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (საქართველოს, 1984), არც საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ (საქართველოს, 1998) და არც საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ (საქართველოს, 2004) არ ითვალისწინებენ სახელმწიფო ენასთან დაკავშირებულ ცალკე, სპეციალურ მუხლს. მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144¹⁰ და 155⁶ მუხლები მოიხსენიებენ საქართველოს სახელმწიფო ენას, მაგრამ არა საჯარო ინფორმირების წინამდებარე სტატიაში განხილული კონტექსტით. ასევე, „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი არეგულირებს სახელმწიფო ენის გამოყენების საკითხებს, რომლის სათაურიცაა „ზოგადი მოთხოვნები რეკლამისთვის“, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის რამდენიმე მუხლიც (საქართველოს, 2004: მ. 38¹, 51¹, 58) არეგულირებს სახელმწი-

ფო ენის გამოყენების საკითხებს, თუმცა არც ამ მუხლების დასახელებაში არაა ნახსენები სახელმწიფო ენა. ძალზე უხერხულია, როცა „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი საჯარო ინფორმირების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხები რეკლამისთვის განკუთვნილი რეგულაციებით რომ წესრიგდება და განხილულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-12 თავში (საქართველოს, 1998), რომლის სათაურიცაა „ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ვაჭრობისა და ფინანსების დარგში“, მაშინ როცა საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებასთან, დედაქალაქთან, დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან ერთად სახელმწიფოს სიმბოლოდაა გამოცხადებული (საქართველოს, 1995: მ. 2).

დასკვნა. საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ყოფის გამომხატველი საქართველოს სახელმწიფო ენა განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს. საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადებების, სასათაურო წარწერების, პლაკატების, აბრების, აფიშების, რეკლამების და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვის უზრუნველყოფი არაერთი სამართლებრივი აქტის მიუხედავად, მისი წერიითი მეტყველების ფუნქციური არე იზღუდება სხვადასხვა ენებით, რაც საფრთხეს უქმნის მის სრულფასოვან გამოყენებას, დაცვას და განვითარებას, საბოლოოდ კი მის სიცოცხლისუნარიანობას.

საქართველოს სახელმწიფო ენის დაცვის, გამოყენებისა და განმტკიცების სამართლებრივი საფუძვლების დამდგენი სამართლებრივი ნორმების დარღვევა საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ ტექსტებზე გამოწვეულია, როგორც ამ მიმართულებით სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონით, ისე ზოგიერთი სამართლებრივი აქტის ბუნდოვანებითა და არასრულყოფილებით, სახელმწიფო ენის კანონმდებლობის დარღვევისთვის უფრო მკაცრი კონკრეტული სანქციების არარსებობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა:

- არაბული, ა. (2013). ენა ჩვენი არსობისა, თბილისი;
- ასათიანი, რ. (2025). ენის კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში, „ორბელიანი“, 8, თბილისი;
- გიგაშვილი, ქ. (2010). თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, თბილისი;
- გიგაშვილი, ქ. (2011). ენობრივი პროცესები – ენის ცვლილება, ენის სიკვდილი, „საენათმეცნიერო ძიებანი“, 32, თბილისი;
- გორგოშაძე, მ. (2018). სახელმწიფო ენა და ქართული ენობრივი პოლიტიკა: პრობლემები და გამოწვევები, „პოლიტიკა“, 2 <https://test.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/95> ;
- გორგოშაძე, მ., ჯაყელი, ლ. (2023). სახელმწიფო ენის შესახებ კანონის შედარებითი ანალიზი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, „ორბელიანი“, 6, თბილისი;
- მანაგაძე, თ. (2014). „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის დარღვევაზე ფულადი ჯარიმები წესდება, <https://for.ge/index.php/view/34330/saxelmwifo-enis-Sesaxeb-kanonis-darRevaze-fuladi-jarimebi-wesdeba.html>;
- რამიშვილი, რ. (2014). ენობრივი პოლიტიკა ირანში, „ტერმინოლოგიის საკითხები“, 1, თბილისი;
- პროგრამული ანგარიში, (2017). სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის პროგრამული ანგარიში <https://bsu.edu.ge/text files/ge file 23454 1.pdf> ;

ჯაველიძე, ე.(2022). „ენა საღმრთო რამ არის... მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია,1, თბილისი;

ჯორბენაძე, ს. (2023). პასუხისმგებლობა არასათანადო რეკლამის განთავსებისთვის, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, 2, თბილისი;

Gegenava, D., Partsvania, M., Tusashvili, T. (2024). Legal Guarantees and Regulation of the State Language in Georgia. „Teka Komisji Prawniczej PAN Oddział w Lublinie“, vol. XVII, no. 1 <https://ojs.academicon.pl/tkppan/issue/view/567/134> ;

სამართლებრივი აქტები:

საქართველოს, (1995). საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

საქართველოს, (1984). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216%22%20/%20%22!?publication=610>

საქართველოს, (2015). საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=7>

საქართველოს, (1998). საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?publication=34>

საქართველოს, (1999). საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=12>

საქართველოს, (2004). საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=82#!>

საჯარო სამართლის, (2017). საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3894550?publication=0>

სახელმწიფო, (2021). სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030. <https://enadep.gov.ge/uploads/strategy.pdf>

Language, (2011). Language Act. <https://www.riigiteataja.ee/en/eli/506112013016/>

Law, (1993). Law of the Republic of Armenia About language. <https://cis-legislation.com/document.fwx?rgn=2942>

Закон, (2002). Закон Азербайджанской Республики „О государственном языке в Азербайджанской Республике“. http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=3644